საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/168

ქ. ბათუმი 21 ნოემბერი, 2018 წელი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 სექტემბრის №01-08/118 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2018 წლის 15 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის (MES 1 18 01482053) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2018 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 სექტემბრის №01-08/118 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. აპლიკანტთა ტესტირების შედეგები გამოქვეყნდეს (პირადი ნომრების გარეშე) ბსუ-ს ვებგვერდზე - 2018 წლის 21 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით.“;

ბ) ბრძანების მე-7 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა აპლიკანტებმა 2018 წლის 24 და 26 ნოემბერს, ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმეების გახსნის მიზნით უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია ბსუ-ს პროფესიული

პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 35/32, მე-3 კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი N404):";

გ) ბრძანების მე-8 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის **ბრძანება გამოიცეს 2018 წლის 27 ნოემბერს,** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების საფუძველზე.

9. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (დანართი 1) **სასწავლო პროცესი დაიწყოს 2018 წლის 29 ნოემბერს."**

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დაევალოს ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი").

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**